ფინანსთა
მინისტრი

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

29 ოქტომბერი 2025

N 08-03/76445

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტსა და მისგან გამომდინარე „საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტებს, „რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარებისა და სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შესახებ“ და „მ. ბარათაშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტებს.

მოგახსენებთ, რომ საკანონმდებლო პაკეტის შესაბამისად ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ცალკეული საგადასახადო შეღავათების და სპეციალური წესების მოქმედების გადავადება 2028 წლის 1 იანვრამდე. შეღავათები ეხება სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულ პირებს, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მიერ ფასიანი ქაღალდებიდან მიღებულ შემოსავალს, არასტაციონარულ ვაჭრობას და უძრავი ქონების მიწოდების დაბეგვრას და სხვა. აღნიშნული საგადასახადო შეღავათების ვადის ამოწურვის შედეგად შესაძლებელია შემცირდეს სექტორული სტიმულირების ეფექტი, რაც უარყოფითად იმოქმედებს რეგიონულ ეკონომიკურ აქტივობაზე, თვითდასაქმებასა და კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე.

ამასთან, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება საინვესტიციო ოქროს მიწოდება და იმპორტი, რაც საშუალებას მისცემს ამ საქონლის მიმწოდებელს ჩაითვალოს ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ ხარჯებზე (მაგ, შეფუთვა და ტრანსპორტირება, ოქროს სიწმინდის ტესტირება, ოქროს ჩამოსხმა და გარდაქმნა ზოდებად და სხვა) გადახდილი დღგ. ამდენად,

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და უცხოური კაპიტალის მოზიდვას. გაიზრდება საქართველოს ბაზრის კონკურენტუნარიანობა რეგიონულ დონეზე, რაც გაზრდის საინვესტიციო ოქროს შემოტანის, შენახვისა და რეექსპორტის მოტივაციას. საინვესტიციო ოქროს დღგ-ისგან გათავისუფლებით იგი ფაქტობრივად გათანაბრდება სხვა ფინანსური აქტივების/ინსტრუმენტების დაბეგვრის რეჟიმთან (მაგ. ფასიანი ქაღალდები), რაც ხელს შეუწყობს ფინასური ბაზრის სტაბილურ განვითარებას.

შესაბამისად, გაუმართლებელია ხსენებული საკანონმდებლო პაკეტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის დაყოვნება და მოგმართავთ წინადადებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის 17[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N35 დადგენილებით დამტკიცებული „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განთავისუფლდეს წარმოდგენილ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან.

ამასთან, მოგმართავთ თხოვნით, „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვალის N77 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება და წარმოდგენილ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე არ გავრცელდეს სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნების ვალდებულება.

დანართი: 37 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი

https://edoc.mof.ge/public/#/76445-08-03-2-202510291559

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE